

საქართველო  
საგარო საზოგადოებასთან ურთიერთობის  
საქართველო უნივერსიტეტი  
ზათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ზათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
რექტორი \_\_\_\_\_ რ. შარაბიძე

15.03.2013



ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის  
უფროსის არჩევნების წესი და საარჩევნო პროცედურა

ND 2-O04-03

შეთანხმებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი \_\_\_\_\_ ლ. ჯაყელი

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი \_\_\_\_\_ რ. ყიფიანი

ND 2-O04-03  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია № 1  
რევიზიის თარიღი 15.03.2012  
მოქმედებაშია 15.03.2012



## შინაარსი

1	მორმატიული ბაზა	3
2	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები	3
3	მუხლი 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა	5
4	მუხლი 2. არჩევნების გამოცხადება	5
5	მუხლი 3. წინასაარჩევნო კამპანია	6
6	მუხლი 4. საარჩევნო ბიულეტენი	6
7	მუხლი 5. საარჩევნო ყუთი	6
8	მუხლი 6. დამკვირვებელი	7
9	მუხლი 7. არჩევნების პროცედურა	8
10	მუხლი 8. შედეგების შეჯამება	8
11	მუხლი 9. დარღვევის ოქმი	9
12	მუხლი 10. არჩევნების მეორე ტური	10
13	მუხლი 11. არჩევნების შედეგების გამოცხადება	10
14	მუხლი 12. არჩევნების შედეგების გასაჩივრება	11
15	მუხლი 13. საბოლოო შედეგების გამოცხადება	11
16	გავრცელების არე	12

ND 2-O04-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

2. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
3. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ ND 1-01-02;
4. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
5. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება ND 2-P08;
6. ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დებულება ND 2-P09;
7. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
8. დოკუმენტაციის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
9. ჩანაწერების მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
10. ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები ND 2-Q05-03;

## 2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

### 2.1. ტერმინები

1. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.
2. **ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახური** – აკადემიის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე აკადემიის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის **ISO 9001:2000** მოთხოვნების შესაბამისად.
3. **სენატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
4. **აკადემიური ხარისხი** – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;
5. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო

ND 2-004-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალიზაციის ანუ მის არ აქვს რევიზია „დრეფტილი ვე ვებზარი“. რევიზია ასევე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლი მიაღწევა რევიზიის „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ახლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;

6. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
7. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;
8. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს ძირითად სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
9. **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს). რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს);
10. **საკადემიო საპროცედურო კომისია** – კომისია, რომელიც განიხილავს საკონკურსო პირობების დარღვევებსა და ამტკიცებს საფაკულტეტო საკონკურსო კომისიების მიერ წარმოდგენილ შედეგებს;

## 2.2. შემოკლებები.

1. **ND** – ნორმატიული დოკუმენტი;
2. **აკადემია** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;



## მუხლი 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხდება პირდაპირი, თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
3. ფაკულტეტის საბჭოს შეიძლება წარედგინოს ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატურა.
4. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტს.
5. ფაკულტეტის საბჭო კანდიდატურის/კანდიდატურების წარდგენიდან 15 დღის ვადაში ირჩევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აუცილებლად უნდა იყოს ამავე ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება იმავდროულად იწვევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების შეწყვეტას.
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აირჩევა 4 წლის ვადით, ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.
8. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის არჩევის ფარულობას უზრუნველყოფს აკადემიის საარჩევნო კომისია.

## მუხლი 2. არჩევნების გამოცხადება

1. კანდიდატის/კანდიდატების წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა ფაკულტეტის საბჭო ნიშნავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს. ინფორმაცია არჩევნების დღის, ასარჩევი კანდიდატებისა და ამომრჩეველთა სიის შესახებ მიეწოდება აკადემიის საარჩევნო კომისიას.
2. არჩევნები იწყება არჩევნების დღის 10 საათზე და მთავრდება საღამოს 17 საათზე.
3. საარჩევნო კომისიის წევრები ინაწილებენ ფუნქციებს: იყოფიან რეგისტრატორ, საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერ და ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელ

ND 2-004-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედებს არაჩაივლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაივლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



წევრებად. რეგისტრატორი არეგისტრირებს არჩევნებში გამოცხადებულ ამომრჩევლებს შესაბამის სიაში. საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრი აწერს ბიულეტენზე ხელს და გადასცემს მას ამომრჩეველს, ხოლო ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულაბელი უზრუნველყოფს საარჩევნო ოთახში ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის პროცედურის ორგანიზებულობას და წესრიგს.

### მუხლი 3. წინასაარჩევნო კამპანია

1. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია.
2. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
3. არჩევნების დღეს იკრძალება წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
4. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ საარჩევნო კომისიის წევრებს.
5. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
6. წინასაარჩევნო აგიტაციამ და კამპანიამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს.

### მუხლი 4. საარჩევნო ბიულეტენი

1. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
  - ა. ფაკულტეტის დასახელება
  - ბ. არჩევნების დასახელება
  - გ. საარჩევნო კანდიდატების ჩამონათვალი.
2. შესაძლებელია დაემატოს სხვა პუნქტი მაგ: აკადემიის ლოგო და ა.შ.



## მუხლი 5. საარჩევნო ყუთი

1. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია.
2. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
3. საკონტროლო ფურცელი დება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები, კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის 1 ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.
7. თუ საარჩევნო ყუთი დაზიანდა არჩევნების პროცესში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.
8. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებულ საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

## მუხლი 6. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირებს შეუძლიათ არჩევნებამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. იურიდიული პირები არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებენ თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა უნდა მიეთითოს დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.
3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:
  - ასარჩევი კანდიდატი
  - ადმინისტრაციული პერსონალის წევრი
  - იმ ფაკულტეტის ამომრჩეველი, სადაც ის ითხოვს დამკვირვებლად მონაწილეობას.
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიების მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში აცნობოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.

ND 2-004-03  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 12.09.2012  
მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედებს არაჩაივლები დოკუმენტის ანგარიშის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „აღივებული ვებ-გვერდი“. რეკვიზიტი ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაივლებს როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



5. დამკვირვებელი ვალდებულია, ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

## მუხლი 7. არჩევნების პროცედურა

1. ხმის მიცემის დროს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის ხელმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის გრაფაში აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც შემოხაზავს მისთვის სასურველი ერთი კანდიდატურის რიგით ნომერს, მოათავსებს საარჩევნო ბიულეტენს საარჩევნო ყუთში და გადის საარჩევნო კომისიის ოთახიდან. დაუშვებელია ოთახში ხუთზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა.
2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა დაცული იქნება.
3. საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველზე გაიცემა, მხოლოდ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში.
4. ხმის მიცემა ხორციელდება მხოლოდ ერთი სასურველი კანდიდატის რიგითი ნომრის წრიული შემოხაზვით.

## მუხლი 8. შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას საარჩევნო სიებში შესრულებული ხელმოწერების მიხედვით. აღნიშნული ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.
3. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და წრიულად შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების მიხედვით. ცალკე ლაგდება ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.
4. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ND 2-004-03  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 12.09.2012  
მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bma.edu.ge](http://www.office.bma.edu.ge)





- ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;
- ბ) არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურის რიგითი ნომერი;
- გ) შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატურის რიგითი ნომერი;
- დ) შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
- ე) მასზე არ არის მითითებული იმ ფაკულტეტის სახელწოდება, რომელზეც ტარდება არჩევნები.

5. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი და ოქმში შეიტანება შემდეგი მონაცემები;

- ა) ფაკულტეტის ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;
- ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;
- გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
- დ) ბათილი და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
- ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

## მუხლი 9. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ წესით დადგენილი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი ან შესაბამისი ფაკულტეტის ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;

ND 2-004-03  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია №1  
რევიზიის თარიღი 12.09.2012  
მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რეკვიზიტი „დრეფტული ცვ ზეშპლარი“. რეკვიზიტი ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკორექტული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;

ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;

ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

## მუხლი 10. არჩევნების მეორე ტური

თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი პრეტენდენტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, მეორე ტურში გამსვლელთა გამოსავლენად ტარდება ხელახალი კენჭისყრა გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ახალ კანდიდატს/კანდიდატურებს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს და არაუგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნები.

## მუხლი 11. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს. საარჩევნო კომისია ვალდებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოაკრას არჩევნების შედეგების აქტი.



## მუხლი 12. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში კანდიდატს,

დამკვირვებელს ან შესაბამისი ორგანოს ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ წესით

განსაზღვრული წესების დარღვევასთან დაკავშირებით აკადემიის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

1. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) საჩივრის შემტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი.

ბ) საჩივრის შემტანი პირის სტატუსი (კანდიდატი, ამომრჩეველი, დამკვირვებელი, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის წევრი);

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);

ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ვ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.

2. საჩივარს თან ერთვის დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## მუხლი 13. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. ფაკულტეტის საბჭო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე ამტკიცებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

2. აკადემიის საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს ოფიციალურად,

ND 2-004-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

მოქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეალი ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსების გზით.

3. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

## 14.გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი და საკონტროლო ეგზემპლიარები ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლიარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
3. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)

ND 2-004-03

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 12.09.2012

მოქმედებაშია 12.09.2012

შეუქმედად არ მიათვლება დოკუმენტის არეობის ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზიის ასლზე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიათვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ბოლო და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)